წელიწადი მეორე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 23 ღვინობისთვე 1916 წ. № 236

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. **სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხარიტონ შავიშვილი.**

მეუღლე მართა გიორგის ასული, შვილები: ალექსანდრე და გრიგორი დავითის ძენი კეკელიები და ნატალია დავითის ასული პაპავასი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ

დავით (კახუ) გრიგორის ძე
კეკელიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი გადახდილი იქნება ორშაბათს 24 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. გამოსვენება პანაშვიდის შემდეგ თბ. სადგურიდან სოფელ ბანძაში წასასვენებლად, სადაც მოხდება დაკრძალვა.

(1—371—1)

„საქართველოს“ კანტორისაგან.

ქუთაისის ხელის მომწერლებს,

ვისაც სრულად ფული არ აქვთ გადახდილი, ვთხოვთ გადასცენ თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში.

განცხადება

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ რადგანაც 12 ამა ღვინობისთვეს საგანგებო კრება არ შესდგა, კრება გადაიდო 30 ამავე ღვინობისთვისათვის დღისით 12 საათზე.

კლუბის წესდების § 29 თანახმად ეს კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები

(3—214—1)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა, 24 ღვინობისთვიდან 31 ღვინობისთვემდე.

ორშაბათი—ოპერეტი. ბილეთები 30 კაპ.—1მანეთამდე.
სამშაბათი—სასიმფონიო კონცერტი მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
ოთხშაბათი—სინემატოგრაფი, შემდეგ კონცერტი, კაბარე.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა. ბილეთები 50 კაპ.—30 კაპ.-დე.
პარასკევი—ოპერეტი. ბილეთები 30 კაპ.—1 მანეთამდე.
შაბათი—კონცერტი სიმებ. ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50 კაპ.—30 კ.-დე.

დასაწყისი: კონცერტებისა სად. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ 8½ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

(1—215—1)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასზე

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

საუკეთესო სასადილო

„ეკონომია“

პუშკინის ძეგლის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 258—26) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ს. გიგიბერია.

დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვახ. წერეთლის მიერ შედგენილი:

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო
ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 80 კაპ.
გამოცემულნი თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ ვ. ყიფიანის მიერ შედგენილი

ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—208—7)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეზხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბერლინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კუზმა მინინის მემკვიდრე

ტამბოველ გუბერნატორს, როგორც სჩანს, ცოტა არ იყოს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია ეკონომიური მეცნიერების შესახებ. გაზეთებში ცნობა იყო, რომ ის თავის გუბერნიაში მოგზაურობს სოფელ-სოფელ და მცხოვრებლებს არწმუნებს ბაზარში პური გამოიტანონ გასასყიდად. პოლიტიკური ეკონომიის ორიოდე პოპულიარული სახელმძღვანელო რომ მაინც წაკითხული ჰქონოდა, ასეთ გარჯას თავს აიცილებდა გულუბრყვილო ბიუროკრატი. იმ სახელმძღვანელოებიდან სხვათა შორის შემდეგ უბრალო ჭეშმარიტებებს შეიგნებდა. აღებმიცემობა წარმოებასა და მეურნეობაზეა დამოკიდებული და როცა ეს უკანასკნელნი მოშლილია ან შეფერხებული, ნაწარმოებები ბუნებრივად ძვირდება და ჰქრება ბაზარში. არავითარ გონებამახვილ არგუმენტებს, თუნდ ყოვლის შემძლე რუსის მოხელისას, არ ძალუძს ადამიანს ბაზარში გაატანინოს ის, რაც აუცილებლად თვით მას სჭირდება არსებობისთვის: მით უმეტეს თუ იმ ადამიანსა და იმ ბაზარს შორის არც რკინის გზები მოიპოვება საკმაოდ, არც ხეირიანი საურმე გზატკეცილები.

მართლაც დიდი სიბრძნე არ არის საჭირო იმ საზოგადო მოვლენების დასანახავად, სურსათის გაძვირებასა და გაქრობას რომ იწვევენ რუსეთის ბაზარში. როგორც მეფის ნაცვლის უკანასკნელი განმარტებიდან სჩანს, დამუშავებული მამულის რაოდენობა ერთი მესამედით შემცირებულა ჩრდილო-კავკასიაში. მაგრამ ასეთი შემცირება მოხდა არა მარტო ერთ რომელიმე რაიონში, არამედ მთელს სახელმწიფოში. ეს მოსალოდნელი იყო განმეორებითი მობილიზაციების შემდეგ. მუშა ხელისა და საქონლის სოფლიდან გაკრეფას აუცილებლად სამეურნეო კულტურისა და მოსავლის შემცირება უნდა მოჰყოლოდა; მით უმეტეს, რომ სამეურნეო მანქანები, რომელთაც რამოდენიმეთ ცოცხალი ძალის ანაზღაურება შეუძლია, ნაკლებ იხმარება რუსეთში. არც გლეხი, არც მემამულე ადვილად აღარ ელევა პურსა თუ სხვაგვარ სანოვაგეს, მიტომ რომ მათი „მოსახმარი ღირებულება“ არაჩვეულებრივად გაიზარდა ომის განმავლობაში. მართალია მათი საბაზრო ფასიც მოულოდნელად გაიზარდა, მაგრამ ფულს როდი აქვს ძველი მიმზიდველი თვისება. სოფელში ისედაც დიდძალი ქაღალდის ფული ტრიალებს: ნავარაუდევია, რომ ომის დროს მარტო სათადარიგო ჯარისკაცების ულუფის სახით, დაახლოვებით მილიარდ ნახევარი მანეთი შევიდა რუსის სოფელში. ამას გარდა თითქმის ერთი მილიარდი მანეთის ეკონომია მაგარი სასმელების აღკრძალვამ გამოიწვია. ბოლოს გლეხკაცების ერთმა ნაწილმა ბევრი მოიგო მუშა ხელის გაძვირებითაც. ასეთ მდგომარეობაში ზედმეტი მანეთი მისთვის არაფერს წარმოადგენს სახარბიელოს. მით უმეტეს, რომ თვით მანეთი საგამოცანო ღირებულებად იქცა.

ეკონომიური კანონები ისეთი რკინისებური სიძლიერით მოქმედობენ, რომ არა თუ გუბერნატორების დიალექტიკას, მკაცრ ადმინისტრატიულ განკარგულებებსაც არ ძალუძთ მათი წინააღმდეგობა. ეს ნათლად დაამტკიცა უკანასკნელი დროის ამბებმა. სპეკულიაციის ასალაგმავად სასტიკი ზომები მიიღეს, ხორბალისთვის მაქსიმალური ფასები დააწესეს, სანოვაგისთვის ნიხრი შემოიღეს. ცხოვრების გაძვირებას მაინც არაფერი ეშველა: პირიქით, ის ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ.

ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ ეს სხვათა შორის უმაღლესი მართველობის უსისტემობით და უთაურობით აიხსნება. ეს მართალია რამოდენიმედ. ცნობილია, რომ სასურსათო საქმის გასაძღოლად რავდენიმე, ერთი-მეორის უარისმყოფელი დაწესებულება არსებობს პეტროგრადში. საქმე იქამდე მიდის, რომ ერთმა მათგანმა არც კი იცის რა ხდება მეორეში. ამ ერთი კვირის წინად სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მიწადმოქმედების მინისტრმა გრაფმა ბობრინსკიმ გულახდილად განაცხადა, რომ მას დაახლოვებით წარმოდგენილიც კი არ აქვს თუ სად არის და რას აკეთებს თავად ობოლენსკის კომიტეტი, რომელიც სიძვირესთან საბრძოლველად იყო დანიშნული. ეჭვეილია, რომ სახელმწიფო მართველობის ლაბირინტი მეტის მეტად დახლართული ყოფილა თუ კი უმაღლესი ხელისუფალნიც კი, რომელნიც ქვეყნის წინამძღოლებად არიან მოწოდებულნი, ერთმანეთს ვეღარ პოულობენ. რაღა უნდა ჰქმნან ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, რომელთაც ხშირად ხელფეხი შეკრული აქვთ და თვალები ახვეული?

ლიბერალი პროფესორი ევგენი ტრუბეცკოი სახელმწიფოებრივი სოციალიზმის აუცილებლობას ჰქადაგებს. „სოციალიზმის ნაწილ-ნაწილ განხორციელება ომის დროს, მისი აზრით, სწორედ გაგებული მამულიშვილობის ვალდებულობას შეადგენს“. სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნეკლიუდოვი პირიქით საშუალო საუკუნეებისკენ გვიწვევს: ის ჰფიქრობს, რომ ფულის გადასახადის მაგივრად ნატურალური ხარკის შემოღებაა საჭირო ხორბლისა და სურსათის სახით; უამისოდ შეუძლებელი იქნება არმიისა და სახელმწიფო დაწესებულებების გამოკვებაო. მაგრამ ხარკოველი დეპუტატი იმას კი არ ჰკითხულობს, როგორ უნდა მოეწყოს ტეხნიკურად თანამედროვე სახელმწიფოში პურის ხარკის აკრეფა ან რა მოუვა ისედაც დაცემულ მანეთის კურსს თუ ხაზინამაც კი უნდობლობა გამოუცხადა მას.

რეალისტური შეგნების ადგილი უნიადაგო ოცნებამ დაიჭირა, რეაქციური და რევოლუციური უტოპიები ერთმანეთში აირია.

ამ საერთო არევ-დარევაში მოქნილი გეშეფტმახერები საქმეებს აკეთებენ, ჟნიჭო მოხელეები კარიერას...

ამ სამასი წლის წინათ რუსეთის სახელმწიფო ბედშავ დღეებს განიცდიდა. ძველი სამეფო გვარეულობა რიურიკოვიჩებისა გადავიდა, სამეფო ტახტი ხელმარჯვე მაძიებლების სათამაშო საგნად გახდა. ხაზინა დაცარიელდა, ხალხი გაღატაკდა, შინაგანი წესწყობილება აირივდაირია. ბოლოს პოლონელმა ჯარმა დედა ქალაქი მოსკოვი დაიჭირა. მაგრამ მამულიშვილურმა აღფრთოვანებამ ქვეყანა გამოიყვანა დამცირებისა და უძლურებისაგან. ნიჟნი-ნოვგოროდში შეძლებულმა ყასაბმა კუზმა მინინმა მოქალაქეებს მხურვალე მოწოდებით მიმართა და განძი გამოაღებინა, მამაცმა თავადმა პოჟარსკიმ ლაშქარი შეადგინა და მოსკოვი უცხოელებისგან გაანთავისუფლა.

რუსეთი დღესაც განსაცდელში იმყოფება. სასტიკი და დაუნდობელი მტერი კარზე სდგას, ხალხი გაჭირვებულია, მრავალ-რიცხოვან არმიას გაძღოლა და გამოკვება სჭირდება. ამ სახიფათო წუთში ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწესა თუ პუბლიცისტს მინინის ისტორიული სიტყვები გაახსენდა: დავაგირავოთ ჩვენი ცოლები და ჩვენი შვილებიო. მაგრამ რაღაც ირონიის მსგავსად გაისმის დღეს ეს სიტყვები. როგორც სჩანს კეთილშობილი ნიჟეგოროდელი ყასბის მემკვიდრენი ძლიერ გამოცვლილან და აღარ ჰგვანან თავიანთ წინაპარს.

ვ. ღლონტი.

დღის ამბები

ბრძოლის ველზე

მაკენზენის არმიამ დობრუჯაში ბაბახის ტყემდე მიაღწია. მას შემდეგ კი აღირავითარი ცნობა აღარ მოსულა და ჩვენც არ ვიცით სწარმოებს ბრძოლა თუ ორივე მოპირდაპირე წინასწარ მზადებაში არიან. აქ დამყარებული მდგომარეობა ახლა უფრო ხელსაყრელია მაკენზენისათვის. საქმე იმაშია, რომ რუსეთის და რუმინეთის ჯარს ზურგი სამოქმედოთ მეტად ძნელი, ყოველგვარად შემაფერხებელი აქვთ. სწორედ ამ ტყიდან ვიდრე დუნაიმდე იწყება საშინელი ჭაობები და მრავალი არხები მდ. დუნაისა. ოპერაციის წარმოება ისეთ მიდამოებში, როგორიც არის დობრუჯის ჩრდილოეთის ნაწილი, ყოვლად შეუძლებელია. თვით მდ. დუნაი ერთგვარი კედელია, რომლის გადალახვა იმ შემთხვევაში, თუ მტერი ბრძოლის პირს გაარღვევს, მეტად საზარალო იქნება თუნდაც რომ რუსეთმა აუარებელი ჯარი მიაშველოს, მაინც გაბედული ოპერაციის წარმოება სახიფათოა. მაშასადამე აქ თავისთავად იბადება შემდეგი კითხვა: დაიწყებს რუსეთის მხედრობა სწორედ დობრუჯაში შეტევას მაკენზენის წინაალმდეგ, თუ პირიქით დასტოვებს მთელ დობრუჯას, გადმოვა მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე და იქ გამაგრდება; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნამდვილად რუსეთის მთავარი შტაბი ასეც მოიქცევა. და რომ მართლაც ასეთი განზრახვა არ ჰქონდეს, არასოდეს ამდენხანს უმოქმედოთ არ გაჩერდებოდა, რადგან დახანება ხელსაყრელია მხოლოდ მაკენზენისათვის, რადგან უკანასკნელის საშუალება ეძლევა ჯერ ერთი ძალები შემოიკრიფოს, მეორეც გაამაგროს დაპყრობილი ადგილები. უფრო მოსალოდნელია რუსეთის შეტაკება სხვა ადგილას, უფრო კი ფალკენჰაინის წინაალმდეგ, რადგან თუ აქ ავსტრიელები იმდენად დამარცხდებიან, რომ აქტიურ მოქმედების უნარი აღარ ექნებათ, მაშინ მაკენზენი თავისთავად გასაჭირში ჩავარდება.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მდ. სტოხოდით გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, ახლა თვით რუსებს დაუწყვიათ შეტევა და დაკარგული ადგილები უკან დაუბრუნებიათ.

X.

ომის დეპეშები

22 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. 21 ღვინობისთვე ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე ვიტონეჟის რაიონში და ალექსანდროვის მახლობლად ბრძოლა გრძელდება. ერთმა ჩვენმა ბათალიონთაგანმა მოახერხა მტრის უკუგდება იმ თხრილებიდან, რომელნიც გუშინ წაგვართვეს მათ. ლიპიც დოლნაიას მაღლობებიდან რუსის რაზმებმა გაარღვიეს მოწინაალმდეგის ხაზის მავთულები, ზოგიერთ ადგილას უკან დაახევინეს კიდეც. ძლიერი ბურუსი ხელს უშლიდა ჩვენს არტილერიის მოქმედებას. მდ. ბისტრიცაზე, სოფ. კრივიჩის რაიონში, რუსთა მზვერავნი მოულოდნელად დაესხნენ მტრის ერთს როტას, გაჰფანტეს და 13 კაცი წამოიყვანეს ტყვედ.

კავკასიის ასპარეზი. რუსთა ორი მფრინავი 19 ღვინობისთვეს თავს დაესხნენ ოსმალთა ბანაკს იაშ-მეიდან*თან, ნურიკისა და ტა-საგანის ჩრდილო-დასავლეთით. სალიზმანის რაიონში რუსთა მზვერავებმა 15 დატვირთული სახედარი ჩაიგდო დავლად.

რუმინეთის ასპარეზი. ა) ტრანსილვანია. ახალი არავითარი ცნობა არ მოსულა. ბ) დობრუჯა. არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

—

პარიზი, 21 ღვინობისთვე. სომას სამხრეთით მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. ბრძოლა უმთავრესად ლიგონისა და შილიის მახლობლადაა. ლაკურის აღმოსავლეთით ფრანგებმა მარჯვედ გაითარეშეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ღამემ წყნარად ჩაიარა. გუშინ დღისით გერმანელებმა დასცალეს ფორტი ვო. ამ ფორტის გარშემო აგერ რამდენიმე დღეა სასტიკი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ფრანგები თანდათანობით უახლოვდებოდნენ მას. მთელი დღის განმავლობაში ფორტში სამჯერ მოხდა აფეთქება. ღამით ფრანგთა ქვეითა ჯარმა დაიჭირა სიმაგრის უმთავრესი ნაწილი. ფრანგებს დიდი ზარალი არ მოსვლიათ. ამნაირად, ვერდენის სარტყლის გარე სიმაგრები სრულად აღდგენილ იქმნა. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბუქარესტი, 20 ღვინობისთვე. ოფიციალი. დაწვრილებითი ამბები 10—18 ღვინობისთვისა. მტერმა მთელს ფრონტის გასწვრივ დაიწყო შემოტევა. რაკიღა რიცხვით მეტნი იყვნენ, რუმინელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, თუმცა კონტრ-იერიშებზე არ აუღიათ ხელი. ავსტრიელთა ჯარების გარდა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს ბავარიის მე-11 დივიზია. არმიის უფროსი გენერალი ბრუგულინი მძიმედ დაიჭრა დუმ-დუმის ტყვიით. 14 ღვინობისთვეს რუმინებმა იერიში მიიტანეს მტრის მარცხენა ფრთაზე და მთელს ფრონტზე დიდი ზარალით დაახევინეს უკან. მტერმა ქალაქ პესტაპეშტისაკენ დაიხია, ბრძოლის ველზე ათასამდე კაცი დასტოვა. რუმინელთ დავლად დარჩათ 20 ტყვიისმფრქვევილი, 2 ზარბაზანი და 2 საგაუბიცო ბატარეია, რომელნიც უმალვე მტერს მიაყოლეს ზურგში. 16 ღვინობისთვესაც რუმინელები განაგრძობდნენ იერიშებს. ტყვე გერმანელები ამბობენ, ამ ბრძოლაში მოკლულ იქმნა გენერალი კრეისელი, ხოლო შტაბის უფროსი დაიჭრა. 17 ღვინობისთვეს რუმინელებს თავიანთი პოზიციები უჭერიათ ჟიუს აღმოსავლეთით. რუმინელები მისდევენ მტერს.

ბუქარესტი. 21 ღვინობის. ოფიც. ცნობა. ჩრდილო-დასავლეთი ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე პრედეალამდე მდგომარეობა უცვლელია. პრახოვის ღელეში ბრძოლამ მთელი დღე გასტანა. დრაგოსლავლის მიდამოებში, მოპირდაპირე შევაჩერეთ. ალიუტის დასავლეთით სასტიკი ბრძოლაა.

სამხრეთ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

ლონდონი. 21 ღვინობისთვე. ოფ. ცნობა· 19 ღვინობისთვეს, ნორდჰინერთან, მოპირდაპირემ დაატყვევა ჰოლანდიელთა ორთქმავალი „ჰოლდ სმიტი“.

რომი. 21 ღვინობ. ოფიც. ცნობა. ჩვენმა ჯარმა სძლია მოპირდაპირის სასტიკ წინააღმდეგობას და დაიჭირა თხრილები ტიროლის და სან-მარკოს აღმოსავლეთ კალთებზე. დატყვევებულია 4731 კაცი, მათში 132 აფიცერია, ხელთ ვიგდეთ მრავალი საომარი იარაღი და სურსათი. იზონცოს არემარეს, მოპირდაპირე ყუმბარებით გაუმასპინძლდა,

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი.

ოგლინის აზრი

ტრანსილვანიის ასპარეზზე, ფალკენჰაინის ჯარის წინაალმდეგ რუმინელებთან ერთად რუსებიც იბრძვიან. ამას ისიც ადასტურებს, რომ რუმინეთის ასპარეზიდან ბრძოლის ცნობებს უმაღლეს მთავარსარდლის შტაბი გვაწვდის. მტერი შეიჭრა როგორც მოლდავიაში, ისე ვალახიაში, თუმცა მოლდავიაში რუმინელები მალე გაიმართნენ წელში და ფალკენჰაინის შეტევა შეაფერხეს. ვალახიაში კი ცხარე ბრძოლა მთელს ხაზზე სწარმოებდა კრონშტატ-გერმანშტატ-პეტროშენის გზით. კრონშტანტიდან ავსტრია-გერმანელები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოდიან, სამხრეთით—ბუქარესტისაკენ (აქ ბრძოლა პრედეალის სამხრეთითაა) სამხრეთ-დასავლეთით მტერი მიემართება რუკურეს გზით ბრანის უღელტეხილით დრაგოსლავლეს მიდამოებისა და მის გვერდით მდებარე ტირგულის ველისაკენ (ვალახიის კიმპოლუნის მიდამოები). გერმანშტატიდან მოპირდაპირე უტევს მდ. ალიუტის (იგივე ოლიტი, ოლტი, სლეტი) ველში. პეტროშენიდან მტერი უტევდა მდ. ჟიუს (იგივე ჟიული) ველით.

საერთოდ რუმინიის ბედი, კერძოდ ვალახიისაც, თუმცა სულ უიმედობამდე არ მისულა, მაგრამ საგონებელში ჩამგდები კია და მოკავშირეთაგან სწრაფს და გადამწყვეტ დახმარებას მოითხოვს. რუმინეთის საქმე უფრო იმან ჩააგდო საფრთხეში, რომ მაკენზენმა დობრუჯაში თავისს მიზანს მიაღწია. აქ მან ბულგარელ-გერმანელ-ოსმალთა ჯარებით რუსეთ-რუმინეთის ჯარი ჩრდილოეთისაკენ დასწია. ეხლა ეს ჯარი დუნაის დაბლობებისაკენ მიეშურება. ჯერ-ჯერობით მაკენზენი არ შეცდილა, დუნაის გადალახვას და დობრუჯის მხრიდან ვალახიაში შესევას.

„რეჩ“-ის სამხედრო მიმომხილველ გ. პ.—ს აზრი.

ტრანსილვანიაში რუსის ჯარიც მოქმედებს, მაგრამ აქ მოპირდაპირესაც (ავსტრიელებს), როგორც სჩანს გერმანელებიც მოეშველებიან.

ბულგარეთის გაზეთებში ცნობა იყო, რუმინეთში მალე ჩამოვა გერმანელების 14 დივიზიაო.

დობრუჯაში მომქმედ ბულგარელთა ჯარის სარდალ გენერალ ტოშევს გერმანელების ორი დივიზია ჰყავს, ერთი საფრანგეთიდან გადმოყვანილი, მეორე ბალკანეთშივე მყოფი.

ბულგარეთში ჯარის გადაყვანა უფრო ძნელია, ვიდრე ტრანსილვანიაში. ჰინდენბურგი, ალბად, შესძლებს ამ ჯარის გადმოყვანას, რადგანაც ახლა ტრანსილვანიაში დასავლეთიდან გადმოყვანილი ბავარიის ჯარიც კი მოქმედებს. ყოველივე ეს იმისი მომასწავებელია, რომ რუმინეთის ასპარეზზე ამ რამდენიმე დღეში მეტად ცხარე ბრძოლას უნდა ველოდეთ. სარწმუნო წრეებიდან იტყობინებიან; დაუჯერებელია, რომ რუმინელებისთანა რაინდმა ხალხმა თავისი სატახტო ქალაქი ბუქარესტი ვისმეს დაანებოს და გაერიდოსო.

მდ. უზის ველში სამხრეთით ას ვერსზე, ჩიკ-სერედის აღმოსავლეთით, რუმინელებმა ხელი შეუბრუნეს მოპირდაპირეს და დაატყვევეს 10 აფიცერი, 900 მეომარი.

დობრუჯაში მაკენზენი განაგრძობს და ანვითარებს შეტევას, თუმცა აქ მოქმედებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და მთლიან სტრატეგიულ გეგმის განხორციელებას არსებითად ვერ დაეხმარება, რადგანაც რაც უნდა ჩრდილოეთით შორს შეიჭრას ტოშევის ჯარი, ვალახიას მოლდავიისაგან ვერ მოსწყვეტს.

ქ. შუმსკის აზრი.

დობრუჯაში იერიშების გაჩაღებით მაკენზენს ჰსურდა რუმინელების ჯარი ტრანსილვანიიდან აქეთ გამოეტყუებინა და ფალკენჰაინისათვის ხელფეხი უფრო გაეხსნა. მაგრამ რუმინელებმა ისევ დობრუჯის დროებით დაკარგვა ირჩიეს და ტრანსილვანიიდან ჯარი არ დასძრეს, რადგანაც რუმინეთს მთავარი საფრთხე სწორედ აქედან ელოდა.

ეხლა კი, როგორც ოფიციალი ცნობებით ვიცით, რუმინელებს პირიქით შეუტევიათ მოპირდაპირისათვის. მდ. უზის ველში, დორნა-ვარტას სამხრეთით 100 ვერსზე. რუმინელებს დაუტყვევებიათ 10 აფიცერი და 900 მეომარი. სამხრეთ რუმინეთში (ვალახია) მოპირდაპირე განუდევნიათ რუმინელებს კიმპოლუნგიდან და ბულგარეთის ქალაქ ნიკოპოლისაკენ რუმინეთიდან მიმავალ გზიდან მდინარე ალიუტის ველში.

საერთო სურათი ტრანსილვანიის ასპარეზისა ასეთია: ფალკენჰაინის ჯარი დანაწილებული 6—7 მიიმართება სამთო გზით ვალახიისაკენ ეს ჯარი არც ერთი გზით არ არის შეკავშირებული და მთლად მოწყვეტილია ერთი მეორისაგან. ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელია რუმინელებისათვის და თუ მათ იგი შესაფერისად გამოიყენეს, ფალკენჰაინის ჯარს საფრთხეში ჩააგდებენ. ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ ის ითქმის, რომ რუმინელების საქმე ტრანსილვანიაში ცოტათი გამოკეთდა.

„რუს. ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი №-ის აზრი.

რუმინეთი მთავარს ბრძოლის ასპარეზად იქცა. უნდა ანგარიში გაუწიოთ ჩვენს თვალ წინ მომხდარ ამბებს და ვაჟკაცობა უნდა შევწევდეს სინამდვილეს თვალებში შევხედოთ, თუმცა არც გაზვიადებაა საჭირო, არც ხელის დაფარება.

მაკენზენს პირველხანად დავალებული ჰქონდა მოგერებითი ბრძოლა ეწარმოებინა და ბულგარეთი რუსეთ-რუმინეთის ჯარის შესევისაგან დაეფარა. მაგრამ მაკენზენმა კარგად იცოდა ბრძნული აზრი, თუ გინდა მარჯვედ მოიგერიო, შეუტიე და თავისი მოგერებითი მოქმედება შეტევით დაიწყო. მალე დაიპყრო ტურტუკაი, სილისტრია. აქ დუნაის ნაპირზე გამაგრდა და ბუქარესტისაკენ არ დაძრულა. მერე რაკი დაინახა, რომ რუსეთ- რუმინეთის ჯარის მხრივ არსებითი რამ საფრთხე არ მოელოდა, დობრუჯისაკენ შეუტია. აქ მან მაშველი ჯარი მიიღო. აქ ჰყავდა ბულგარელების 3 დივიზია (ბულგარელების თითო დივიზიაში 6 პოლკია, 4 პოლკის მაგიერ) კიდევ მიიღო ერთი დივიზია ბულგარელებისა და რამდენიმე დივიზია ოსმალებისა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მაკენზენმა რუსეთ-რუმინეთის ჯარი დობრუჯიდან თითქმის მთლად ჩრდილოეთისაკენ დასწიეს მდ. დუნაის დაბლობებამდე.

თუ კი გერმანელები რუმინეთის წინაალმდეგ მართლაც არსებითს მოქმედებას ადგანან, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მაკენზენი მდ. დუნაის გადალახავს. ეს საქმე მით უფრო ადვილია მისთვის, რომ მდ. დუნაის მთელი სამხრეთი სანაპიროები მაკენზენის ხელთ არის.

მაკენზენი ალბათ ჩრდილოეთით სვლას აღარ გააგრძელებს, რადგანაც მისთვის ამას არავითარი აზრი არა აქვს.

თუ მოკავშირეები შესძლებენ საკმაო ძალის დროზე დაპირდაპირებას, ჰინდენბურგის გეგმა შეიძლება ვერ განხორციელდეს.

„რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს:

დობრუჯაში ბულგარელ-გერმანელ-ოსმალთა ჯარი უკანასკნელ მიჯნებს—დუნაის ნაპირებს—უახლოვდება. ჯერ ცნობა არა გვაქვს სად იმყოფება ეხლა უკან დახეული რუსეთ-რუმინეთის ჯარი, ან დაიწყო მან დუნაის მარცხენა ნაპირზე გადასვლა თუ არა.

რაკი მაკენზენი დუნაის ნაპირებამდე მიაღწევს, იგი მოქმედებას შეაჩერებს და ფალკენჰაინის წინსვლას დაუცდის, რადგანაც ფალკენჰაინის დაუხმარებლად იგი დუნაის ვერ გადალახავს ვალახიისაკენ. ფალკენჰაინისათვის კი საჭიროა კარპატების მთებს ჩამოსცილდეს და რუმინეთის ველებში ჩამოიაკოს. ზამთრის მოახლოვება ტრანსილვანიის ასპარეზზე სამხედრო მოქმედებას არ შეაფერხებს.

გერმანელების ოფიციალი ცნობა 16 ღვინობისთვის თარიღით იტყობინება: მაკენზენმა დობრუჯაში თავისი საქმე დაამთავრა, აქ ბრძოლა გათავდა, მხოლოდ მოპირდაპირის გაფანტულ რაზმებთან არის აქა-იქ შეჯახება. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ რუსეთ-რუმინეთის ჯარმა მშვიდობიანად დაიხსნა თავი დობრუჯის მიდამოებს და მხოლოდ ზურგის ჯარის ნაწილიღა იგერიებს მტერს.

საბერძნეთი.

პელოპონესში ბერძენთა ჯარის გადაყვანის გამო, მინისტრთა საბჭოს შემდეგი ცნობა დაუგზავნია: ყოველივე უნდობლობის ასაცდენად მოკავშირეთაგან, მეფემ გადასწყვიტა: პელოპონესში გადაიყვანოს ჯარის ნაწილი, რომელიც დღეს თესალია-ეპირში ბინადრობს, სახელდობრ 3, 4 კორპუსები და 16 ეპირის დივიზია. საჭირო განკარგულება დღეს მოხდება, ჯარების გადაყვანა კი 21 ღვინობისთვიდან დაიწყება.

ლამბროსის განცხადება.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, მინისტრ პრეზიდენტს შემდეგი განუცხადებია: „არას დროს არ მქონია აზრად პოლიტიკური მოღვაწეობა. მეფის წინადადება ჩემდამი ისე მოულოდნელი იყო, რომ დრო სრულიად არ მქონდა გავცნობოდი იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა საბერძნეთისთვის დღეს მეტად აუცილებელია. ამის მიზეზით არ ძალმიძს ახლავე განვაცხადო, თუ რა გზას დავადგები! ხოლო რაც პირადად მე შემეხება, ვიტყვი: ყოველთვის მზად ვარ თავი შევწირო ერსა და მეფეს“. ჩემის მხრით, სასურველია არ შეიცვალოს ის განწყობილება, რომელიც

კიდევ კოოპერაციის გარშემო

ჩვენ წერილს მოსკოვის სახალხო ბანკის შესახებ, („საქართველო“ 15 მკათათვე, № 156) რამოდენიმე სტატია გამოუწვევია,*) ზოგი ემხრობა ჩვენგან გამოთქმულ აზრს, ზოგი კი წინაალმდეგია. შემთხვევა არა გვქონდა აქამდე გაგვეცა პასუხი მოწინააღმდეგებისათვის, პასუხი კი საჭიროა, რომ იმ სერიოზულ საქმეს, რომელზედაც ჩვენ ვკამათობთ და ვსჯით, თავიდანვე ნათელი და გარკვეული გზა მიეცეს.

მაგრამ სანან პასუხს შეუდგებოდეთ, ჩვენ კამათს საფუძველი უნდა დაუდოთ. საჭიროა, რომ კამათი მხოლოდ იმაზე სწარმოებდეს, რაზედაც პირველად აღიძრა საკითხი, თორემ საეკონომიო და საფინანსო საკითხები იმდენად მრავალგვარი და სხვა და სხვა ფეროვანია, რომ ჩვენ კამათს და სჯას დასასრული თავის დღეში არ მიეცემა. ამ მხრივ, ჩვენს მოწინააღმდეგეებს ბევრი გარეშე, იქნება საინტერესო საკითხიც აღუძრავთ, მაგრამ ჩვენ იმათ არ გამოვედავებით, რადგან ჩვენგან აღძრულს საკითხს ისინი სრულიად არ შეეხებიან.

თუ მკითხველი გაიხსენებს ჩვენი წერილის შინაარს, იქ შემდეგი მოსაზრებანი იყო გატარებული:

1) ჩვენში ფეხამდგარ კოოპერაციის განვითარებისათვის, ყველაზედ უფრო კარგი იქნება, საკუთარი საკოოპერაციო ბანკის დაარსება, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ეს შეუძლებელია.

2) მოსკოვის სახალხო ბანკის თბილისის განყოფილება ვერ შესძლებს ამგვარ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, რადგან იგი ყოველთვის უცხო ბანკი იქნება ჩვენთვის.

3) მოსკოვის სახალხო ბანკი ვერ აკმაყოფილებს კოოპერაციის წმინდა იდეოლოგებსაც, რადგან თავის სტრუქტურით აქციონერული ბანკია და არა კოოპერატიული.

4) ამგვარ მდგომარეობაში, ჩვენებური კოოპერატივებისათვის უფრო ხელ მისაწდომი და შესაფერებელი ჩვენი ბანკებია და განსაკუთრებით მომავალი სავაჭრო და სამრეწველო ბანკი.

* * *

„სახალხო ფურცლის“ მეთაური და როგორც ეტყობა, ი. გუნცაძეც იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენებური კოოპერატივებისათვის შესაძლებელია საკუთარი ბანკი დაარსდეს. სამწუხაროდ არც ერთი და არც მეორე ამ თავის რწმენას არაფრით არ ასაბუთებს. სხვები კი, მათ შორის „თანამედროვე აზრის“ მეპრესეც და ბ. კანდელაკიც ჩვენს აზრს ემხრობიან; ბ. კანდელაკი ამ შემთხვევაში ჩვენზე შორს მიდის. იგი ჯერ-ჯერობით კავშირების დაარსებაშიაც იჭვნეულობს. „უნდა ვეცადოთ ადგილობრივი კავშირების და საკოოპერაციო ბანკის დაარსებასაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ერთი საკრედიტო კავშირი ხომ ჩვენივე ხელით ჩავშალეთ და მეტს ვერ ვხედავთ ახლო მომავალშიო“,—ამბობს ბ-ნი კანდელაკი. ეს რასაკვირველია მეტის-მეტია. კავშირების დაარსების დრო ჩვენშიც იმგვარივეა, როგორიც რუსეთში, და თუ ჩვენში პირველი (კახეთის) კავშირის ბედი დროებით შეფერხდა, აქ საზოგადოებრივი მდგომარეობა და საკოოპერაციო ნიადაგი არაფერ შუაშია; ამის მიზეზები, საპირადო ანგარიშებსა და გარედან მოყენებულ ძალმომრეობაში უნდა ვეძიოთ.

როდესაც საკოოპერაციო ბანკის დაარსების უდროობაზედ გვქონდა ლაპარაკი, რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ რეალური პირობებით ვხელმძღვანელობდით. ჩვენში ახლა, მთელი ამიერ კავკასიაც რომ ვიანგარიშოთ, ძალიან-ძალიან თუ ათასი წვრილი კოოპერატიული დაწესებულება იქნება. ამ რიცხვის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ამ ცოტა ხანში დაარსებულია მომხმარებელი ამხანაგობები, რომელთაც შეძლება და სახსარი არც ეხლა აქვსთ და არც ახლო მომავალში ექნებათ, რომ შეიძინონ საკოოპერაციო ბანკის აქციების უმეტესი ნაწილი. ამ გვარი ბანკის დასაარსებლად-კი, როგორც სამართლიანად ამბობს ბ. გ., საჭიროა არა ნაკლებ ნახევარი მილიონი ასეთი ძირითადი თანხისა და ისიც საეჭვოა, ამ ჩვენს დროში ასეთი მცირე თანხიანი ბანკის წესდებას სამინისტრო დაამტკიცებს თუ არა. მოსკოვის სახალხო ბანკის ძირითადი თანხა ერთი მილიონი იყო, იმისი 80% დიდის ვაი-ვაგლახით გაანაწილეს მთელის რუსეთის კოოპერატივთა შორის. მეორე მილიონის განაწილება კი უფრო დიდის დაბრკოლებით მოხდა ომიანობამდე. მხოლოდ ეხლა, რაც კოოპერატივის რიცხვი რუსეთში საშინლად გაიზარდა, და ფულიც ხალხში ბლომად დატრიალდა, ბანკი აპირებს კიდევ ორი მილიონის აქცია გამოსცეს. თუ მთელი რუსეთისათვის და მისი კოოპერატივებისათვის ძნელი იყო ერთი საკოოპერაციო ბანკის დაარსება, რა უნდა ვსთქვათ ჩვენ, რუსეთის მეასედმა ნაწილმა; სად უნდა შევკრიბოთ, ან როგორ უნდა გავანაწილოთ ბანკის აქციები.

უფრო საგულისხმოა ვარშავის საკოოპერაციო ბანკის ძირითადი თანხა (იხ. მისი ანგარიში 1914 წ.) ორი მილიონიდან კოოპერატივებს (წვრილ კრედიტის დაწესებულებათ და მომხმარებელ საზოგადოებათ) ეკუთვნის მხოლოდ 902 ათასი მანეთის აქცია, დანარჩენი 1098 ათასი მანეთისა ეკუთვნისთ საურთიერთო ნდობის ბანკებს, კერძო პირთ და სხვა და სხვა დაწესებულებას. თუ პოლონელებმა, რომელნიც რიცხვით ჩვენზე ექვსჯერ მეტნი არიან, ხოლო ეკონომიური მდგომარეობით და ეროვნული შეგნებით ჩვენზედ ბევრად უფრო განვითარებულნი, ვერ შესძლეს წმინდა წყლის საკოოპერაციო ბანკის ლაარსება, განა შეგვიძლია ჩვენ ამ ხანად ამ საქმის მოწყობა?

ყოველ შემთხვევაში ჩვენ პირველი მივესალმებით იმ პირთ, რომელნიც ცხოვრებაში განახორციელებენ საკოოპერაციო ბანკის დაარსებას და მით შეჰქმნიან კიდევ ერთს დიდ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს.

* * *

კოოპერატივების საჭიროების დასაკმაყოფილებლად მოსკოვის ბანკის თანამოაზრენი ფიქრობენ თბილისში ამ ბანკის განყოფილების დაარსებას. „სახალხო ფურცელს ჰგონია, ვინც ამ აზრს არ იზიარებს, ის წინააღმდეგია საზოგადოდ მოსკოვის ბანკთან საქმის დაჭერისა და მას ბოიკოტს უცხადებსო. ამის მზგავსი არაფერი ყოფილა ჩვენს პირველ წერილში. ცხადია, ჩვენი კოოპერატივები სესხს აიღებენ და საქმესაც იმ ბანკთან დაიჭერენ, რომელიც მეტ შეღავათიან პირობებს იძლევა. აქ არც სტრუქტურას აქვს მნიშვნელობა, არც სახელს. ჩვენ მხოლოდ განყოფილების გახსნის წინააღმდეგი ვართ, რადგან განყოფილება არა თუ სესხის გაცემას დაიწყებს, არამედ ჩვენებური კოოპერატივების გამგეობასა და ოპერაციებში გამეფებას მოინდომებს, თუ ეხლა სახალხო ბანკი მოსკოვიდან იძულებულია კავშირების და ბიუროების საშუალებით იმოქმედოს, მაშინ, როცა განყოფილება თბილისში იქნება, ადგილობრივ ორგანიზაციებს იმდენი თავისუფლება არ ექნებათ. ეს გამეფება კი უცხო ბანკისა კოოპერატივებისათვის არ იქნება სასარგებლო ბ. კანდელაკი თითქოს კიდევაც გვეთანხმება: „განაპირა ქვეყნებს, ამბობს იგი, უსათუოდ ესაჭიროებათ საკუთარი ახლო მყოფი საკოოპერაციო კავშირებიც. ცენტრალური დაწესებულება იმათ მაგიერობას სავსებით ვერ გასწევსო“. მაგრამ იგივე კანდელაკი მეორე ადგილას ამბობს: „ჩვენ არ ვიცით, ადგილობრივი ინტერესები უკანასკნელ საფეხურზედ იქნება დაყენებული თუ არა, მაგრამ ის კი ვიცით, ვინც ჩვენს ინტერესებს უწევს ანგარიშს, იმასთან უნდა მივიდეთ და თუ სახალხო ბანკი ჩვენში განყოფილებას გახსნის და ჩვენს ინტერესებს ანგარიშს არ გაუწევს, რა თქმა უნდა ჰაერში ჩამოეკიდება, იგი იზარალებს და არა ჩვენ“. ამგვარი ოცნება ბ. კანდელაკისა, მართლაც რომ სანატრელია. რამდენი ბანკებია ჩვენში და სხვაგანაც, რომ ადგილობრივ ინტერესებს არ იცავენ, მაგრამ არც ზარალი უნახავთ და არც ჰაერში ჩამოკიდებულან.

ჩვენგან აღძრულ საკითხში ეს მხარე უდიდესია და თუ ვისმეს ჰქონდა რამ საწინააღმდეგო, სწორედ ამისთვის უნდა მიექცია ყურადღება, მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგეები ან სრულიად არ შეეხებიან ამ მხარეს, ან ისეთი უსაბუთო შენიშვნებით დაკმაყოფილდნენ, როგორიცაა ზემო მოყვანილი ფრაზა ბ. კანდელაკისა. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით უფრო ხანგრძლივად შევჩერდეთ ამ მხარეზე.

მის დასამტკიცებლად; რომ მოსკოვის ბანკი ჩვენთვის უცხო ბანკია და ჩვენებური კოოპერატივებისთვის იგი როგორც საჭიროა ისე თავს არ აიტკივებდა, ჩვენს წერილში შაბიამანის საქმეზე მივუთითეთ. ბ. ნიშნიანიძე ცდილობს ამ საქმეში გაამართლოს, როგორც ჩვენი საზოგადოებანი, ისე მოსკოვის სახალხო ბანკიც. მაგრამ, თუ ყველა ამ საქმეში უცოდველნი იყვნენ, როგორ მოხდა, რომ ჩვენებურმა კოოპერატივებმა შაბიამანი ვერ მიიღეს და კერძო პირმა კი მოახერხა და დროზედ ჩამოიტანა ეს საქონელი. ბ-ნი ი. გუნცაძე ეხლა ცოტათი ამჟღავნებს და შემდეგისათვის გვპირდება მთლად გამოაქვეყნოს ის „უსამართლობა“, რომელიც ჩაუდენია მოსკოვის სახალხო ბანკს ჩვენი საკრედიტო ამხანაგობათა მიმართ. ი. გუნცაძე სცდე-

---

*) ჩვენ გვაქვს სახეში შემდეგი სტატიები: 1) „საქართველო“-ში—მოსკოვის ბანკის განყოფილება (15 მკათ. № 156). მოსკოვის ბანკის განყოფილება ჩვენში, ბ. გამსახურდიასი (20 მკათ. № 160), მოსკოვის ბანკი და თანამედროვე აზრი, ი. ვაშაძისა (22 მკათათვე № 160), სახალხო ბანკი, ბ. გ. (3 მარიამობის. № 172).

2) „თანამედროვე აზრი“—„საქართველო“ მოსკოვის სახალხო ბანკის შესახებ, კ. კანდელაკისა (19 მკათათვე № 159), ქართული პრესა (16 მკათათვე № 157).

3) „სახალხო ფურცელი“-ში—ჩვენ და მოსკოვის სახალხო ბანკი (22 მკათ. № 633), ორიოდე სიტყვა, ს. ვახვახიშვილისა (10 მარიამ. № 645), ორგანიზაცია და ცენტრალური კოოპერატიული ბანკი, ს. ვახვახიშვილისა (3 და 6 ენკენ. №№ 664, 666).

4) „ჩვენ მეგობარში“—კოოპერაციის გარშემო, ი. გუნცაძისა (22 მკათათ. № 117), წვრილი კრედიტის ამხანაგობათა... საყურადღებოდ, პოლ. ნიშნიანიძისა (31 მარამ. № 146).

ჰსუფევს დღეს საბერძნეთ-მოკავშირეთა და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის. ამის განხორციელება არც ისე ძნელია, როგორც ბევრსა ჰგონია.

ჩვენს კაბინეტს დიდი საქმები გაუჩნდა და იმედია ყოველივე პოლიტიკურ ნიღაბს მოკლებული იქნება.

რუმინელების სული.

პარიზულ გაზეთ „ფიგაროში“ რუმინელი მგოსანი ვიქტორ ევტიმიუ „რუმინელ ერის სულს“ შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „წარსულ ტანჯვათა მიუხედავად რუმინელს უყვარს სინათლე, სიცილი, მზის სხივები. ენტუზიაზმი ადვილად ედება მის ბუნებას. ის გულკეთილია, სტუმართმოყვარე, გულ გაშლილი. მაგრამ მას ნეაპოლელ ლაცრონესავით არ უყვარს შრომა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქალაქებში მძიმე სამუშაოს უცხოელები ასრულებენ. რუმინელები მოხელეები და ადვოკატები არიან. უწინარეს ყოვლისა ადვოკატები, ეს მათ საუცხოვო შემთხვევას აძლევს სალაპარაკოდ. გლეხი ბევრს შრომობს. აგრეთვე მისი ცოლიც. რუმინელი გლეხის ქალი ოცდაორი წლისა უკვე დამჭკნარია. ხშირი ორსულობა ანადგურებს მის მოქნილ სხეულს, რომელიც ისედაც ძლიერ იღლება ყანაში მუშაობით. გლეხი ამაყია სიღარიბეშიც. ის ამჯობინებს ავაზაკად გავარდნას ვიდრე მათხოვრობას. ასე წარმოიშვენ ჰაიდუკები: ისინი აჯანყებულნი არიან მდიდრების გულზვიადობისა და დიდკაცების ძალადობის წინააღმდეგ და კერის მშვიდობიანობას ტყეში ხეტიალს ამჯობინებენ. სახალხო პოეზია ალსავსეა მათი გმირობის ქება-დიდებით.

უკანასკნელი დეპეშები

ინგლისში ჯარში იწვევენ მოხელეებსაც. გერმანელები გაშმაგებით ყუმბარებს უშენენ ფრანგების ქალაქ რეიმსს.

—

ავსტრო-უნგრეთის სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა ალიწეროს სახელმწიფოს მცხოვრებნი მამრობითის სქესისა, 1899 წლის 1 მაისამდე დაბადებულნი. განზრახულია მათი ჯარში გაწვევა 1917 წლის 1 იანვრამდე.

—

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ ღვინობისთვის უკანასკნელ რიცხვებში გამოცხადდება ბრძანება ლურჯბილეთიანების (მეორე ხარისხის მოლაშქრენი) ჯარში გაწვევის შესახებ. გაწვეულნი იქნებიან 1896, 1897, 1898 და 1899 წლების ლურჯბილეთიანები.

ბა, თუ ფიქრობს, რომ აქ პირადულ, კერძო მიდრეკილებას ან მოქმედებას ჰქონდეს ადგილი. ამგვარი საქციელი მოსკოველი კოოპერატორებისა და მათი უმთავრესი დაწესებულებისა სრულიად ბუნებრივია. ბუნებრივია, რადგან ამ სიშორეზედ ვერც ერთ კერძო პირს და ვერც ერთ დაწესებულებას ვერ მოვსთხოვთ ერთ გვარის ენერგიით და ინტერესით მოეკიდოს თავის რაიონებისა და ჩვენებური კოოპერატივების საქმეებს. ამ „სისხლის წვიმების“ დროს, როცა მოსკოვის ბანკს რამდენიმე ათი ათასი კოოპერატივი თავთავისი მოთხოვნილებებით შესცქერის, ვერავინ ვერ დასძრახავს ბანკს, რომ ერთგვარი სიცხოველე და მხურვალება არ გამოიჩინოს თავისი მახლობელი რაიონისა და განაპირა მხარეების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. ამას გარდა შაზიამანის საქმეში რუსის მოლიბერალო და მემარცხენე საზოგადოების მისწრაფება სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენებურ კოოპერატივების სურვილს. უკანასკნელნი დაინტერესებულნი არიან მევენახეობის და მეღვინეობის გაუმჯობესობასა და განვითარებაში, პირველნი კი თითქმის სამი წელიწადია, რაც ცხარე აგიტაციას ეწევიან, რომ სრულიად მოისპოს არამც თუ არაყის, არამედ უბრალო ღვინის ხმარებაც. თუ ვინ არის ამ საქმეში მართალი, ეს ჩვენს საკითხს არ ეხება, მაგრამ შესაძლებელია განა ამისთანა დროს მოსკოვის ბანკმა ის ენერგია და ხერხი გამოიჩინოს, რომელიც საჭიროა. თორემ ბანკის მეთაურები მეტად გავლენიანი პირები არიან, იმათ სიტყვას და თხოვნას ისეთი ძალა და მნიშვნელობა აქვს, რომ ფრიდონხოვი, თუ გინდ მისი „მალული ხერხებით“ იმათთან შესადარებელიც არ არის.

ამგვარი გაუგებრობა ჩვენი მოთხოვნილებისა მოსკოვის ბანკის გამგეობაში მუდამ იქნება. თანამედროვე ვაჭრობა და მრეწველობა შორეულ ბაზარს ეძებს, ადგილობრივი სყიდვა-გასყიდვის ასპარეზი მცირე და კნინია. ამ კანონს ექვემდებარებიან როგორც აქციონერული, ისე კოოპერატიული საზოგადოებათა წევრები და კლიენტები. ჩვენებური კოოპერატივების ნაწარმოები მოსკოვის რაიონში უნდა გაიგზავნოს გასასყიდად, მოსკოვის კოოპერატივებისა—ჩვენს რაიონში. როგორ აასრულებს ამ შემთხვევაში თავის მოვალეობას მოსკოვის ბანკის თბილისის განყოფილება, როგორ „პოლიტიკას“ აწარმოებს. როცა მოსკოვის კოოპერატივები დააპირებენ ჩვენებური კოოპერატორების ნაწარმოების ყიდვას, თბილისის განყოფილება შეეცდება იაფად იყიდოს, რომ მოსკოველ კოოპერატივებს იაფადვე გადასცეს და მათ სარგებლობა მოუტანოს. მეორეს მხრივ იმავ მიზნით, რომ მოსკოვის კოოპერატივებს და მათ წევრებს სარგებლობა მოუტანოს, განყოფილება იძულებული იქნება მოსკოვის ნაწარმოები რაც შეიძლება მეტს ფასში იყიდოს და ამ ფასებში გადასცეს ჩვენებურ კოოპერატივებს. რატომ მოიქცევა ასე თბილისის განყოფილება,—მიტომ, რომ იგი დამოუკიდებელი დაწესებულება კი არ იქნება, არამედ მოსკოვის მთავარ გამგეობისაგან შედგენილი ორგანიზაცია, რომელმაც სავსებით უნდა დაიცვას ინსტრუქციები და დირექტივები მთავარი გამგეობისა. ეს მთავარი გამგეობა კი, რასაკვირველია, იხელმძღვანელებს თავისი ადგილობრივი, მოსკოვის რაიონის, და არა შორეული თელავის ან სამტრედიის რაიონების ინტერესებით. საინტერესო არის ვიცოდეთ, როგორ ჩამოჰკიდებს ბ. კანდელაკი თბილისის განყოფილებას ჰაერზე, როცა იგი ამ აუცილებელ პოლიტიკას დაადგება, ან და რა ზარალი მოუვა განყოფილებას ამგვარი მისი მოქმედებისაგან.

იასონ ლორთქიფანიძე.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

სასახლეში.

✦ **ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე** ასვლის დღეს, სასახლის კარის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ მათი უმაღლესობანი, მეფის ნაცვალი და მთელი ოჯახი.

ქართული დაწესებულებანი.

✦ **საბავშვო საღამო ქართულ საქალებო გიმნაზიაში.** პარასკევს, 21 ღვინობისთვეს, ქართულ საქალებო გიმნაზიაში გაიმართა საბავშვო საღამო. გამმართველნი თვითონ ბავშვები იყვნენ მასწავლებლების დაუხმარებლად. დაწვრილებით იხილეთ ამ ნომერშივე წერილი „ცელქთა საღამო.

მთავრობის დაწესებულებანი

✦ **მიწად-მოქმედ. დეპარტამენტმა** თვის რწმუნებულს 300 მანეთი სოჭის სანერგესთან ვორსილის ზღმარტლის კულტურის საცდელად გადმოსცა.

✦ **კავკ. მუზეის გამგე** ვ. ს. ჩურსინი გაემგზავრა ლენქორანის მაზრაში საეტნოგრაფიო მასალების შესაგროვებლად.

✦ **მომხმ. ამხანაგობა.** თელავის მაზრის ძველგავაზის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე მომხმარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ამხანაგობას სახელად „განთიადი“ ერქმევა.

✦ **დასახიჩრება.** თბ. გუბერნატორს სიღნაღიდან ატყობინებენ, რომ თ-დი ზ. ა. შექეიფიანებული შევიდა ტერ-ავაქოვის აფთიაქში და სოდა მოითხოვა. აფთიაქში მყოფ ქალს დარია ბოლნოვისას განუცხადებია, რომ აფთიაქის პატრონი აქ არ არის და სოდას ვერ მოგცემთო. თ-დი ზ. ა. ამ პასუხის შემდეგ შეჭრილა მის ოთახში და რევოლვერით თავზე მოუთხოვნია თვის თხოვნის დაკმაყოფილება. შეტაკების დროს ბოლნოვის ქალს აზოტის სიმჟავე შეუსხამს თ-დ ზ. ა—სთვის თვალებში და დაუბრმავებია.

✦ **სამხედრო სესხი.** სახელმწიფო ბანკმა უკვე დაიწყო ხელის მოწერა ახალ 5½% სამხედრო მოკლე ვადიან სესხზე. მთელი სესხი 3 მილიარდ მანეთს უდრის. სესხი სამ სერიად არის გამოცემული. თითო სერიაში 1 მილიარდი მანეთია.

✦ **საოლქო სასამართლოს სესია** ახალციხეს გაემგზავრა.

ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 24 ღვინობისთვეს, ქალაქის საბჭო განიხილავს გამგეობის მოხსენებას და ამ მოხსენების შესახებ საბჭოს სამის კომისიისაგან გამოთქმულ აზრს, ტრამვაის შემოსავლის დანიშნულების შესახებ. ამ საგნის შესახებ გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი იმ აზრისა არის, რომ ტრამვაის მიმდინარე წლის შემოსავალი, რომელიც, ხარჯების გამოკლებით, 300—400 ათას მანეთამდის იქნება, გადაიდვას ცალკე ფონდის შესადგენად, სახელწოდებით „გასაუმჯობესებელი ფონდი“, რომელსაც ფული უნდა აკლდებოდეს მხოლოდ საბჭოს გადაწყვეტილებით. საფინანსო-საბიუჯეტო, სატრამვაიო და ქალაქის გაუმჯობესობის კომისიათა კრებამ-კი ის აზრი გამოსთქვა, რომ ტრამვაის შემოსავალი მხოლოდ ტრამვაისავე გაუმჯობესობას უნდა მოხმარდესო, მით უფრო, რომ ტრამვაის ბევრი რამ სჭირდებაო.

✦ **თათბირი სურსათის შესახებ.** გუშინ, 22 ღვინობისთვეს, თათბირი ჰქონდა ქალაქის საბჭოს სამეურნეო-სასურსათო კომისიას, რომელსაც გამგეობის წევრთ მ. ა. ჯაბარიც დაესწრო. კრების საგანს შეადგენდა სექციებად დაყოფა სასურსათო კომისიისა, როგორც, მაგალითად, პურის საქმის მომწესრიგებელისა, შაქრისა და სხვა. კრებას აგრეთვე უნდა განეხილა მენავეთეების შუამდგომლობა ნავთზე ნიხრის გადიდების შესახებ.

✦ **ხოლერა.** გუშინ, 22 ღვინობისთვეს, ქალაქის ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 9. წინა დღის შემდეგ არავითარი ცვლილება არ მომხდარა ხოლერიანთა განყოფილებაში.

✦ **შეკითხვების წესრიგი.** როცა ქალაქის საბჭოს კრება გაიხსნება ხოლმე, ხმოსნები ათასგვარი შეკითხვებით მიმართავენ გამგეობას. ამის გამო დაუსრულებელი კამათი გძელდება და მორიგი საქმეები ხშირად განუხილველი რჩება. ამის გამო ხმოსანს მელიქ-კარაკოზოვს დასაბუთებული მოხსენება შეუდგენია საბჭოში წარსადგენად შესახებ იმისა, თუ რა წესითა და რიგით უნდა სწარმოებდეს შეკითხვების განხილვა საბჭოში.

სასულიერო უწყებაში.

✦ **მიტროპოლიტ პიტირიმისაგან** ყ-.სამღ. ანტონმა, ეპისკოპოსმა გორისამ, მიიღო სამადლობელი დეპეშა იმ დეპეშაზე, რომელიც მათმა მეუფებამ ქართველ მლოცველთა მხრივ სვეტიცხოვლობა დღეს გაუგზავნა მცხეთიდან. დეპეშაში მიტროპოლიტი წინაპართა მადლსა და ლოცვა კურთხევას იწვევს საქართველოს სამწყსოზე.

სომეხთა შორის.

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა** განიხილა დეპუტატ ჩხენკელის მიერ შეკრებილი ცნობები არდანუჯის რაიონში შესახებ ომისაგან დაზარალებულთა გაჭირვებულ მდგომარეობისა და გადასწყვიტა დაუყონებლივ გაგზავნოს იქ თავის რწმუნებული, რომელსაც თან გაატანოს 5.000 მან. და თბილი ტანთსაცმელები მომეტებულად გაჭირვებულთათვის დასარიგებლად.

✦ **დიდი თანხა.** მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, მეფის ნაცვალმა 300 ათასი მანეთი მისცა სესხად სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას ოსმალეთის ქვეშევრდომ სომეხ გლეხების, ხელოსნების და ვაჭრების დასახმარებლად. ამ თანხიდან, აღნიშნულ საზოგადოების განკარგულებით, სომეხ მწერალთა საზოგადოებას მიეცა 10.000 მანეთი და გადმოხვეწილ სომეხ მწერლებს 15.000 მანეთი. დანარჩენი 275 ათასი მანეთი დანიშნულებისამებრ უნდა გაანაწილოს საგანგებო კომიტეტმა, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი საქველმოქმედო საზოგადოებისა, „პასტამატუცისა“ და მწერალთა საზოგადოებისა. კომიტეტი ერევანში იქნება.

✦ **სომეხთა საქველმოქმედ საზოგადოებამ** თითო ვაგონი შაქარი გაგზავნა ერევანსა, განჯასა და გუმბრში გამოქცეულ სომეხთა დასარიგებლათ.

სხვა და სხვა ამბები.

✦ **„ცნობის ფურცლის“ დაარსების ოცი წლის თავი.** 20 ღვინობისთვეს შესრულდა 20 წელიწადი, რაც ვალ. გუნიამ დაარსა „ცნობის ფურცელი“ (1896 წ. 20 ღვიობ.)

✦ **ახალი პიესა.** ჩვენს მხცოვან მსახიობს კონ. ყიფიანს, ოთხმოქმედებიან პიესად გადმოუკეთებია აკაკის „ბაში აჩუკი“. პიესას ჰქვიან „ბრძოლა“ და წარმოსადგენადაც ნებადართულია.

✦ **უპურობა.** გუშინ და გუშინწინ (21 და 22 ამა თვეს). ისევ თავი იჩინა უპურობამ. ზოგიერთ უბანში მეთორნეებს პური არ გამოუცხვიათ, ხოლო ფურნეებში ჩვეულებრივ ყოვლად უვარგისი შავი პური იყო. საქალაქო დუქნებს, რომლებშიაც საქალაქო ფურნეებში გამომცხვარ პურს ჰყიდდენ, აუარებელი ხალხი აწყდება, მაგრამ ყველას ვერა სწვდება პური.

✦ **ბ-ნ იპ. ვართაგავას ლექცია.** ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭომ ნება დართო ბ-ნ იპ. ვართაგავას წაიკითხოს ლექცია შიო მღვიმელზე. ლექცია 2 განყოფილებისაგან შესდგება ამ სათაურით „შ. მღვიმელი და ბავშვთა სამეფო“. პატივცემული ლექტორი განიხილავს მთელ ნაწარმოებს შ. მღვიმელისას რაც კი დღემდე დაბეჭდილა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში თუ ცალკე გამოცემათ.

✦ **მებაღეობის სკოლაში** სწავლა 24 ღვინობისთვიდან იწყება. სკოლაში ამ ჟამად 70 მოწაფე ითვლება.

✦ **სახალხო კითხვები.** დღეს, 23 ღვინობისთვეს ავჭალის აუდიტორიაში ო. თ. ნასიძისა წაიკითხავს ლექციას.

✦ **საფსიხიატრო საავადმყოფო სურამში.** მთელი მასალები სურამში საფსიხიატრო საავადმყოფოს დაარსების შესახებ ამ ჟამად მზად არის, მხოლოდ საქმეს აბრკოლებს ადგილობრივი მემამულე რ. ჩ. თუ ამ მემამულემ არ დაუთმო საფსიხიატრო საავადმყოფოს თვისი მიწები იმ ფასებში, როგორც წინედ მან განუცხადა მთავრობას, საფსიხიატრო საავადმყოფოს საკითხი გადაწყდება არა სურამის სასარგებლოდ და იგი გადატანილ იქნება სხვა ალაგას, როგორც გავიგეთ, ნოვოროსიაში. იმედია ბ-ნი ჩ—ძე არ ინებებს კერძო ინტერესების გამო საზოგადო საქმის ჩაშლას.

✦ **ქართული კრებული.** ახალგაზრდა პოეტი გოგლა ლეონიძე შეუდგა სამხატვრო-სალიტერატურო კრებულის (ალმანახის) გამოცემას. ალმანახი მზად იქნება გიორგობისთვის დამლევს, თანამშრომლად მიწვეულნი არიან ცნობილი მწერლები.

✦ **ლომბარდი ქ. გორში.** გ. მ. შალიბაშვილმა შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე ქ. გორში კერძო ლომბარდის დაარსების თაობაზე. ლომბარდი არსდება საამხანაგოთ პაიებზე. ლომბარდს მიზნად აქვს უძრავ მამულების შეძენა დასახული იმედია, საზოგადოება მხარს მისცემს ამ იდეურ საქმის განხორციელებას.

✦ **ქალაქის გამგეობა** დასაბუთებულ მოხსენებას წარუდგენს საბჭოს შესახებ იმისა, რომ საქალაქო ადგილების მოიჯარადრეთ ნაძალადევსა და ლოდკის გორაზე ამ მამულების გამოსყიდვის ვადა გაუგძელდეთ. გამგეობას აგრეთვე მოხსენება შეუმუშავებია ქალაქის ლომბარდში ახალ ოპერაციების გახსნისა და ლომბარდის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქუთაისი.

— ბ-ნ იაკობ ცინცაძეს (ია ეკალაძე) ახალი დრამა დაუწერია. შინაარსი განმათავისუფლებელ მოძრაობის დროიდან არის აღებული. პატივცემულმა თავისი დრამა: „ნომერი ოცდა-ერთი ჯვრით“ ვიწრო ლიტერატურულ წრეში წაიკითხა; დრამამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— რადგანაც კოოპერაციებში შაქრის გაყიდვა წესიერად ვერ სწარმოებს და ბევრი საჩივარი მოსდიოდა ქალაქის გამგეობას, უკანასკნელს დაუდგენია გახსნას საკუთარი „სასურსათო დუქანი“.

— ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო აღწერის მასალები უკვე დაუმუშავებიათ და მოკლე დროში პეტროგრადს გაგზავნიან.

— 1 გიორგობისთვეს გაიხსნება ქუთ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში. სამუზეუმო მასალები უკვე ბევრია მოგროვილი და აქამდის კერძო ბინაზე ინახებოდა, არავის შეეძლო მათი დათვალიერება.

— განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან ადგილობრივ სასულიერო სემინარიის მოწაფეები. უკვე 2 თვე მიდის, ჯერ სწავლა არ დაწყებულა და არც უცხადებენ, თუ როდის დაიწყებაო. თუ ასე გაგრძელდა და მათი ბედი არ გამოირკვა, აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდებიან, ვინაიდგან წლის ბოლოს ეგზამენებზე მთელი წლის კურსს მოსთხოვენ.

თელავი.

— შემ.-გამ. ამხანაგობამ მიიღო 15 ვაგონი ხორბალი.

— მომხმარებელ საზოგადოებამ მიიღო 1 ვაგონი შაქრის ფხვნილი.

— როგორც გადმომცეს, ამ დღეებში შილდის თავში ფშაველების სოფ. ჯონთიოს დასცემიან ლეკი-ყაჩაღები და 20 სული ძროხა გაუტაცნიათ. მეორე დღეს გამოსდგომია მდევარი. წამოსწევიან დალისტნის მთებში, ატეხილა ორთავ მხრივ სროლა. მოუკლავთ ორი ყაჩაღი. საქონელი უკანვე წაურთმევიათ.

— ალვანსა და ახატელს შუა დასცემიან 60 შეიარაღებული ქისტი და 40 სულამდე მსხვილფეხა საქონელი გაუტაცნიათ ალვანელებისა და ახატლელებისა.

— ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისიდან ბ. კ. ონიკაშვილი მის მიერ ახლად გამოგონილ მელნისთვინ (ამ მელნის საკეთებელი ქარხანა „ალაროდია“ თბილისში გაიხსნა) საჭირო მასალის წასაღებათ.

ბაქო.

— ქართულ სამხატვრო-სალიტ. წრემაც დაიწყო წარმოდგენების მართვა, მასთან არსებულ სცენის მოყვარეთა ჯგუფის მონაწილეობით. რეჟისორად გამოიწვია ბ. ვასო არაბიძე 16 ოქტომბერს წარმოადგინეს კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“, რომელმაც ჩინებულად ჩაიარა.

— როგორც გავიგეთ ცნობილ მრეწველ ბ. ჯაყელს განუზრახავს ააგოს ქართული თეატრისთვის კედლები და ზეითაც გადახუროს.

— ბ. ამირაგოს ოპერაში მთელ სეზონში მოწვეულნი არიან სხვათა-შორის ქართველი მომღერლები ბ. ბ. ვ. სარაჯიშვილი და ბ. შარაშიძე.

ცელქთა საღამო

საქალებო გიმნაზიის ცელქებმა საღამო გამართეს:

ქართულ გიმნაზიისავე შენობაში!

კარგი და მიმზიდველი იყო ყოველისფერი.

ბავშვები უუფროსოდ...

თვითვე შეედგინათ პროგრამა ისეთივე ცელქი და გულუბრყვილო, როგორიც თვითონ არიან.

საღამოს „ბავშვთა კლუბი“ დაარქვეს.

„კლუბს“ თავისი „მამასახლისები“ ჰყავდა.

„მამასახლისებს“ ჩინებულად მოეწყოთ ყოველისფერი:

მაგიდები თავის ადგილას, სათამაშოები, დომინო, ნარდი, ჭადრაკი, ჩვენს მგოსანთა სურათებიანი ბანქო...

საღამოზე მოწვეულნი იყვნენ მასწავლებელნიც.

საღამო დიდის ამბით გაიხსნა: ზარი, დღეფნის ჩაბნელება. სამასწავლებლო დიდ დარბაზში შესვლა...

სცენა კუთხეში აეჩრიათ:

წარმოდგენაა!

ადგენდნენ ნეტარხსენებულს „დარეჯანს“ და „ლუარსაბს“...

რა კარგი და საყვარელი იყო ყოველისფერი: ყოველგან ბავშვური გატაცება, ბავშვური შეხედულობა...

„რეჟისორები“, „არტისტები“ ჩინებულად ასახიერებდნენ უკვდავ ნაწარმოების გმირებს.

მოთხრობა თვითვე დაეყოთ მოქმედებად, უხელოვნოდ, უფილოსოფიოდ.

გრიმი... კასტიუმი... ყალიონი... ტლანქი ჟესტები...

იცინის მასწავლებელთა კრებული.

იცინიან თვითონ ცელქებიც...

სამ ნაწილად გაეყოთ მოთხრობა და სამთავე ერთი მეორეზე მხიარული...

მაგრამ მხიარულზე მხიარული თვითონ ანტრაქტები იყო.

აქ მასწავლებლები ეშვებიან ბავშვთა დონეზე... თვითონაც ბოვშდებიან...

სიმღერები... ცეკვა... ჟღავილ-ხივილი...

ბავშვები თვითვე მღერიან, სცეკვენ და ასრულებენ სხვა და სხვა „არიებს“ და ცეკვის ნომრებს.

შემდეგ ცოცხალი სურათებით შესრულებული შარადები.

მასწავლებლები თავს იმტვრევდნენ, ვიდრე გამოიცნობდნენ პირველს მათგანს: „ბურუსი“.

პირველ შარადას მცირეოდენი „დივერტისმენტი“ მოჰყვა და შემდეგ გაიმართა სალიტერატურო საღამო.

„ლიტერატორები“ თვითვე ბავშვები არიან.

თქმა არ უნდა, რომ „ლიტერატორთა“ გვირგვინს შეადგენდა პატარა ქალბატონი ვაჩნაძე ერთის მხრით თავისი მოხდენილი და ფრიად სევდით შეფერადებული ლექსით „მწყემსის ბედი“, სადაც გამოყვანილია ომის გამო დაობლებულ მწყემს ბიჭის მდგომარეობა და ბებურიშვილის „სიზმარი“, საკლასო გაკვეთილზე ექსპრომტად დაწერილი მოთხრობა.

ბევრი ვიცინეთ ამ „სიზმრით“.

ეს ჩვენი საბავშვო ლიტერატურისთვის ნამდვილი შედევრია.

ხუმრობა არ გეგონოთ, არც თუ გაზვიადება: ნამდვილი შედევრი!

ბავშვი სწავლობს ლუარსაბის ამბავს. საღამო ჟამია. აი, მივიდა იმ ადგილთან. სადაც „ჩხუბი“ იწყება. ბავშვს ძილი ერევა. დედა ჩურჩხელას მოუტანს. ეს გამოაფხიზლებს, მაგრამ მალე ჩაეძინება. ჰხედავს სიზმარს, სიზმარს საშინელს: შემოდის ლუარსაბ და დაბრიალებული თვალებით სტაცებს დარჩენილს ჩურჩხელის ნაჭერს. მოსდით ჩხუბი: აქეთ ბავშვი და იქით ლუარსაბი. ლუარსაბი სჯობნის: ერთი ყბის მოსმით გადაჰყლაპავს ბავშვის კერძს. ბავშვი ცრემლებით ივსება. საკვირველია! უეცრივ ჰხედავს, რომ ლუარსაბი წიგნად გადაიქცა. თვითეული ფურცლიდან ოხშივარი ამოდის. უშველებელ წიგნს ბუზები ეხვევიან და წიგნს ჰფურ[illegible]ლაზე ლუარსაბის სა[illegible]ბის სუნი მოდის რიგ-რიგად: ეს ხინკალია, დანივრული დედალი, ბოზბაში, შილაფლავი... შილაფლავის თეფშს აწერია: „ღმერთმა აცხონოს ლუარსაბი და დარეჯანი“. ბავშვს უკვირს, ასე მალე როგორ დაიხოცნენ, როდესაც ერთი მათგანი ეს ეს არის ეჩხუბებოდა მას. ბუზები კი ლუარსაბწიგნის ფურცვლას განაგრძობენ. მაგრამ შეხეთ, ახალი საკვირველება! ყვავლაფერი ირევა. მწვანე ასოები დაიწყებენ თამაშს. საბოლოოდ ბავშვი არჩევს: „არა-ფე-რი!“.

„არაფერი და არაფერი!“ ამბობს ბავშვი: „კიდეც რომ არაფერი! გამომეღვიძა და მართლაც არაფერი იყო. ჩემი ნახევარი ჩურჩხელა ისევ ისე ხელუხლებელი დამხვდა!“

მოთხრობას ისევ სიმღერები მოჰყვა.

ბავშვები ცქრიალებდნენ...

ალტაების სამოსელში გამოკვალთულნი გვეპატიჟებიან ხილზე, შემდეგ ისევ შარადა, სამ ნაწილად.

ესეც საუცხოვოდ იქმნა შესრულებული: ბავშვები ჭადრაკს თამაშობენ. „შაჰ!“ ლაზიერმა მოჰკლა მეფე. გათავდა პირველი ნაწილი. მეორე ნაწილიც ცოცხალი სურათითაა. ავადმყოფი დედა და უნუგეშო პატარა ბავშვი, რომელსაც დედა კვნესით შესჩივის: „ავადმყოფობა რომ კარგი იყოს, ჩემთვის ვინ გაიმეტებდა. წადი შვილო, მეზობლისას ისესხე აბაზიანი და დოხტურთან წამალი გამომირთვი“... ნაღვლიანი ბავშვი გარბის მეზობლისას.

მაგრამ ამ შარადის ფინალი ნამდვილი გვირგვინი იყო. ფინალი შარადის ახსნას გვიხატავდა. თვითონ შაჰ-აბაზ ტახტზეა წამოწოლილი. მხევლები გარს ახვევიან. ერთი მათგანი თარით ხელში აღმოსავლეთურს არიას დამღერის მომხიბვლელი ხმით, აქეთ-იქიდან ამოუშვებენ სანთლებს და საერთო ტაშიც იგრიალებს...

არა, იშვიათად დავმტკბარვარ ასეთი თეთრი და სპეტაკი საღამოთი.

მით უმეტეს, რომ „საღამოში“ ხელი არ ერიათ მასწავლებლებს.

ბედნიერი არიან ჩვენი მოსწავლენი, რომ ასეთ მასწავლებელთა ხელში იწვრთნებიან, რომელთაც ასე რიგად ყველგან და ყოველისფერში შეაქვთ სიცოცხლის მეთოდი, მეთოდი თვითმოქმედების, თვითშეგნების, თვითგანვითარების. .

ცელქთა ეს საღამო ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი იყო მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის.

ვუსურვებთ, ყოველთვის ასე სამაგალითოდ ესახელობინოთ ცელქებს მასწავლებელნი და მასწავლებელთ ეს ცელქები...

ქართლელი.

საქარის სანერგე იმერეთში და ჩვენი დეპუტატები

(წერილი ქუთაისიდან)

(გაგრძელება)

საქარის სანერგე, თავის ენერგიულ მცოდნე ხელმძღვანელის, მისი ინტელიგენტ თანამშრომლების და საფილოქსერო დასის საშვალებით შეიქმნა აკვნად მევენახეობის აღორძინებისა იმერეთში, იგი გახდა პირველი პიონური ამერიკული ვაზის საშვალებით ჩვენი განადგურებული ვენახების აღორძინებისა.

დღეს საქარის სანერგე წარმოადგენს 50 ქცევა მთლად ეკლის ხით მჭიდროთ შემორაგულ მამულს, რომლის უდიდესი ნაწილი გაშენებულია ამერიკულ ვაზებზე დამყნილი და მოშენებული ვენახებით ევროპიულ სისტემაზე. აქ არის ამერიკული ვენახების საჩქოლეები, ბაღი მებოსტნეობისათვის, ხეხილისათვის, სადაც ყოველგვარი ადგილობრივი ევროპიული ჯიშის ხეხილებია მოშენებული. უმთავრეს სასახლის წინ და მის გვერდით მოშენებულია მშვენივრად აღზრდილი და მოვლილი ევროპიული დეკორატიული მცენარეები, ფიჭვის და ნაძვის ხეები, ჩინურ იაპონური ხურმები, ლიმონ-ფორთოხლის და ჩაის ხის მცენარეები და მრავალი სხვა საუცხოვო სანახაობა. ყოველივე ამ ცოცხალ სამეურნეო სანახაობას ამკობს და აგვირგვინებს მშვენიერი ორ სართულიანი სასახლე, სადაც იყო ბინა თვით დამაარსებლისა, სამეცნიერო ლაბორატორია ღვინოების და ნიადაგის გამოსაკვლევი, იქვე მუზეუმით მადნეულის და მინერალოგიურ ნიმუშებისა, რომლის მსგავს მოწყობილებას სატახტო ქალაქებში თუ შეხვდებით, თორემ რუსეთის პროვინციები ასეთი სამეცნიერო დაწესებულებით განებივრებული როდია.

აქვე გამართულია მშვენიერ შკაფებში მდიდარი ფუნდამენტალური ბიბლიოტეკა რუსულ და ევროპიულ ენებზე სპეციალური წიგნებსა. ამ უმთავრეს შენობის უკან აღმოსავლეთით

გაკეთებულია მიწაში ღვინის დიდი ევროპიული სარდაფი, რომელზედაც გადადგმული აქვს ყურძნის საჭყლეტი და ღვინის მანქანა კასრებით, მოწყობილი მოზდილი ჩვენებური მარანი. ამის გვერდით არის აშენებული ორ სართულიანი დიდი შენობა ქიმიკოსის და სხვა მოსამსახურეებისათვის. აქვეა თითო სართულიანი სახლები მევენახეობა-მეღვინეობის შკოლისა და მუშებისათვის, თავლები და სხ. მოწყობილობანი. ბაღში იქვე ჩვენებური ქვევრებიანი მარანი, რომლის გვერდით თვით სტაროსელსკის დაურგავს ოთხ კუთხეზე ოთხი გუნდის ხე და დაუბარებია თავის თანამოსამსახურეებისათვის, რომ აქ დამმარხეთ როცა მოვკვდეო.

20—25 წლის წინეთ დაწყებული და მოწყობილი სტაროსელსკის მიერ საქარის სანერგე, რომელზედაც დღემდი მთავრობისაგან ნახევარი მილიონი მან. ხარჯი იქნება გაწეული,—დღეს თავის ზრდა-წარმატებაში უკვე დამთავრებულ, ყოველის მხრით შემკულ სამეურნეო-სახალხო დაწესებულებას წარმოადგენს, რომლის მსგავსს რუსეთში მეორეს ვერ ნახავთ. მაშინდელ საფილოქსერო დასში სტაროსელსკისთან ნამყოფმა, დღეს დეპ. კ. ჩხეიძესთან ერთად ხსენებული სანერგე რომ დავათვალიერეთ, ამ საქმის ძველი პიონერები გაოცებული დავრჩით მისი დღევანდელი დიადი, მშვენიერი სანახაობით და ორი უხუცესი თანამშრომელი ამ საქმისა ერთი-მეორეს ვეკითხებოდით: ეს რა უკეთებია, რა მოუმოქმედებია ამ ბედშავ ადამიანს თავის ხანმოკლე (10—15 წ.) აქ მოღვაწეობაშითქო?!.

ყოველივე იქ ნაკეთობას, დაწყებულებას, თუ მოწყობილებას და ნახელსაქნარებს ცხადათ ეტყობა ამ საქმის ერთგულ, მოსიყვარულე, იდეიურათ გატაცებულ ადამიანის ხელმძღვანელობა და თავის სიდიადით იგი მოგაგონებთ ამგვარივე ევროპიულ დაწესებულებას, სადაც დიდძალი ფული და სამეცნიერო ძალები დასტრიალებს ასეთ სამეურნეო საცდელ სადგურებს, მინდვრებს, ფერმებს, თუ საგრონომიო სკოლებს. იქ ამ საქმის პრაქტიკულ პროპაგანდას, ჩვენებას უმთავრესი ყურადღება აქვს მიპყრობილი და ამიტომაცაა, რომ იქ მეცნიერება-ტეხნიკის მეოხებით ხალხი დაწინაურდა, მეურნეობა უმაღლეს წერტილს აღწევს.

საქარის სანერგის დამაარსებლის მიზანიც ის იყო, რომ მევენახეობის აღორძინების საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დაემყარებინა, ამერიკულ ვაზზე მყნობით ნათლად დაენახვებინა გულგატეხილ ხალხისათვის უპირატესობა მის მიერ გამოწვეულ საქმისა. თავის უპირველესი მიზანი: ამერიკულ ვაზზე ჩვენებური ვენახის ჯიშების დამყნობით ფილოქსერასთან ბრძოლა და ჩვენებური ვენახების ამ წესით აღდგენა,—საქარის სანერგემ ჩინებულად და სანაქებოდ შეასრულა. მან საკმარისად შეასწავლა იმერეთის მკვიდრს ამერიკულ ვაზის მოშენება, მაზედ ჩვენებური ჯიშების მყნობა და ნამყენების მოშენებით ჩვენებური ვენახების აღდგენა. დღეს იმერეთის შუაგულ მევენახეობის სოფლებში თითეულ მოსახლის ეზოს ამშვენებს მწკარ და მწკარ დარგული და მოშენებული ვენახები. დღეს ყველა სოფლის მეურნემ იცის ვენახის მყნობა-მოშენება ახალნაირის წესით და თუ არ იცის მეზობელს ამყნობინებს და ასე იშენებს ვენახებს, თითო-ოროლ ქცევას, ზოგი მეტს და ზოგიც ნაკლებს და ამ რიგად ძენს ოჯახს წყაროს შემოსავლისას, რომელიც მას ულმობელმა სენმა—ფილოქსერამ მოულოდნელად გამოსტაცა ამ 20—30 წლის წინეთ. თითეული გლეხი მეურნე იმერეთში თავის მარჩენალ ვენახების ხელ-ახლა აღმდგენელის ვლადიმერ სტაროსელსკის სახელს ყოველთვის დიდის მოწიწებით, ლმობიერად იხსენიებს როცა თავის შრომის ნაყოფს იგემებს, ან კიდე ჰყიდის და ანაღებს ფულით ხელს იბრუნებს. იმერელი მოსწრებული გლეხი ლოცავს და ადიდებს სტაროსელსკის და დღეს, როცა მანაც გაიგო უდროვოდ ამ სასარგებლო ადამიანის ამ საქმის ჩამოშორების და სადღაც უცხოეთში მისი გაჭირვებულად სიკვდილის ამბავი, გულ ამოხვნეშით გეტყვისთ ხოლმე: „იმისთანა კაცს მეორეს ვეღარ ვეღირსებით, ბატონოვო. ღვთისნიერი კაცი იყო და რავა უპატრონოდ დალუპულაო" და სხ. ამგვარ გულმოსაკლავ სიტყვებით მოიგონებენ ხოლმე ნეტარხსენებულ უცხო ადამიანს...

ქუთათური მწიგნობარი.

(დასასრული იქნება).

ჩემი პასუხი

ხუთმა შემკითხველმა. ივ. კარპელაშვილმა, ალ. ვახვახიშვილმა, ექ. ხირსელმა, ექ. ავალიშვილმა და ლევ. ვახვახიშვილმა „სახალხო ფურცლის" № 688-ში კიდევ მოათავსეს ბრაზმორეული ძმაბიჭურის კილოთი დაწერილი წერილი.

ისინი სწერენ: „ჩვენ გთხოვდით დოკუმენტალურ განმარტებას, ის ადგა და ლანძღვა გინება დაიწყო" ვინც ჩემი პასუხები („სახ. ფურც." № 666, „საქართველო" №№) წაიკითხა, იქ ყველა ნაბიჯზე შეხვდებოდა საჭირო დოკუმენტს, ხოლო ჩემს ნაწერში გინებისა და ლანძღვის ნატამალსაც ვერ იპოვით. კიდეც იმითი ვუკლავ ჩემ მოწინააღმდეგეთ გულს, რომ მათ არ ავდევ ჭორიკანობაში, არც თუ მათებრ ცოფით პირზე და უშვერი ლანძღვით გამოვდივარ კრებებზე თუ გაზეთებში საპასუხოდ და ყოველთვის ვცდილობ მოწინააღმდეგესაც შესაფერი ზრდილობით მოვეპყრო.

ბ. სტუმარი „სახ. ფურც." № 637-ში მაბრალებდა ვითომ მე ბ. სუხოდოლსკის ფული 2000 მ. ვასესხე. დავუმტკიცე ამ ჭორის სიყალბე და თუ იქ მოყვანილი საბუთები ცოტაა, აი კიდევ ერთი საბუთიც:

წერილი თითონ ბ. სუხოდოლსკისა, გამოგზავნილი შემკითხველის ალ. ვახვახიშვილის სახელზე:

Г-ну предсѣдателю Совѣта Телавскаго ссудо-сберегательнаго товарищества, Александру Ревазовичу кн. Вахвахову.

На письмо Ваше отъ 12 апрѣля сего года увѣдомляю, что такъ какъ вслѣдствіе настоятельной просьбы Давида Петровича Лукашвили я нашелъ возможнымъ уменьшить цифру продажной цѣны за домъ въ Телавѣ на двѣ тысячи рублей, то вмѣсто возврата этихъ денегъ была мною тогда же выдана ему росписка долговая на эту сумму, а такъ какъ, въ настоящее время, означенный долгъ мною сполна погашенъ, то и росписка возвращена. Примите увѣреніе въ совершенномъ уваженіи и преданности В. Суходольскій. 1916 года, іюня 15 дня.

მაშ მართალი ვიყავ, როცა ვამბობდი, რომ სუხოდოლსკიმ კი არ ისესხა ჩემგან 2000 მ., არამედ მოაჭრა ეს ფული სახლის ღირებულებას ამხანაგობის სასარგებლოდ, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია-მეთქი ბ. სუხოდოლსკი და ამისთანა ფულზე სარგებლის გამორთმევა სირცხვილია ჩვენი დაწესებულებისთვის მეთქი.

შემდეგ ხუთი შემკითხველი მაბრალებდა, ვითომ მე 28 ათასი მანეთი მივეცი ბ. სუხოდოლსკის მის სახლში და არა 30 ათასი, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავდათ რაღაც დეპეშა სუხოდოლსკისა 28.000 მან. შესახებ. შევეკითხე, საიდგან შეთხზეთ მეთქი ეს დეპეშა და პასუხად ჯერ არაფერი მიმიღია. ალბად ახლა სწერენ იმ დეპეშასა.

„სახ. ფურცლის" № 688 ამავე ჭორის დასამტკიცებლად სარგებლობენ შემდეგ თავისსავე ავადმყოფ ფანტაზიის ნაყოფით და ამას ეძახიან დოკუმენტებს.

დავუგდოთ ყური რასა სწერენ: „ლუკაშვილს უნდა მიეცა სუხოდოლსკისათვის 24000 მ. +ბეზე დაყრილი 25000 მან.+ნედომკა 500 მან.=27.000 მან. და კიდევ 1000 მანეთი სულ 28.000 მან".

საიდან გამონახეთ პირველი 24000 და უკანასკნელი 1000 შესაერთებელი ციფრები. მეტყვით 24.000 მანეთად ხითაროვი იყო მორიგებულიო, მაგრამ ამის საბუთი? ვინ გითხრათ, რომ ხითაროვი 24.000 მან. აძლევდა სუხოდოლსკის სახლში და არა მეტს ან ნაკლებს. იქნებ თქვენმა ჩჩვილმა გულმა ვერ აიტანა ის ამბავი, რომ ხითაროვს ამხანაგობამ ხელიდან გამოაცალა მისგან ნაყიდი სახლი და თითონ დაიტოვა. ალბად ეს ცნობა ბ. ხითაროვისაგან მიიღეთ. მაგრამ ჩვენ თქვენსა და ხითაროვს შორის ნალაპარაკევს ანგარიშს ვერ გავუწევთ. ჩვენ, როგორც წინედაც, ეხლაც დოკუმენტებს ავალაპარაკებთ.

აი ბ. სუხოდოლსკის დეპეშა: Телавъ. Захарію Романовичу кн. Чавчавадзе. 15 тысячъ приплаты предлагаютъ, могу продать 19 тысячъ, приплаты только сейчасъ. Суходольскій.

მაშასადამე, ბ. სუხოდოლსკისათვის უძლევიათ 15 ათასი მანეთი ბანკის ვალის გარდა, და რომ ბანკის ვალიც 10550 მ. მიუმატოთ 25.550 მან. და არა 24.000 მანეთი, ე. ი. მეტი 1550 მანეთით. ახლა მითხარით, რათ გადაყლაპეთ ეს 1550 მანეთი. რათ ჩაიდინეთ ეს არა საკადრისი საქციელი?! იმიტომ განა რომ 30.000 მან. ნაცვლად მიიღოთ 28.000 მანეთი?! აი რანაირი საბუთებით გამოდიხართ ბრალმდებლების როლში. ეს ერთი თქვენი საბუთის არარაობა. მეორე, საიდგან მიიღეთ 1000 მანეთი, ვინ და როდის გითხრა, რომ კიდევ 1000 მანეთი უნდა მიეღო ბ. სუხოდოლსკის და არა მეტი ან ნაკლები. თუ კაცი ხართ დამისახელებთ ამის შესახებ რაიმე საბუთს, გარდა თქვენი სნეული ფანტაზიისა.

მე ბ. სუხოდოლსკის სულ 2100 მანეთი ჩავაბარე. აი საბუთებიც:

1. 1915 года 10 іюля получилъ отъ Давида Петровича Лукашвили восемь тысячъ двѣсти рублей задатка за проданный Телавскому ссудо-сберегательному товариществу домъ, находящійся въ гор. Телавѣ. В. Суходольскій.

ცოტა ქვემოდ იმავე ბარათზე არის მიწერილი:

2. 1915 года 11 іюля получено еще по тому же счету, десять тысячъ восемьсотъ рублей. В. Суходольскій.

და კიდევ ერთი ბარათი:

3. 1915 года 27 іюля получилъ отъ Давида Петровича Лукашвили двѣ тысячи рублей, которые обязуюсь ему возвратить по первому его требованію. Дѣйствительный Статскій Совѣтникъ Василій Петровичъ Суходольскій.

ეს ხელწერილები სამივე სუხოდოლსკისაა: 8200+10800+2000=21.000 მანეთი. იხილე შესავალ-გასავლის დავთარი 1915 წ. მუხლები: 7262, 7577-ა და 8434.

ამ დოკუმენტების მიხედვით მაშასადამე მე სულ ჩამიბარებია 21.000 მანეთი. მაშ რა სვინდისითა სწერთ: „19000—2000=17000. ასე რომ ლუკაშვილმა დოკუმენტების მიხედვით ჩაბარა სულ ფულად 17000 მანეთი".

და ძმაბიჭურის კილოთი იკითხავთ: „მაშ რა უყო ეს 2000 მან. მეჩეთი ააშენა?!"

თქვენ რომ იმდენად გაგიტაცოთ ქვენა გრძნობებმა, რომ ოთხი უბრალო არითმეტიკული მოქმედებაც დაგავიწყდეთ, ჩემი რა ბრალია? თუ გულწრფელად გინდათ გაიგოთ სულ რამდენი ჩამიბარებია ბ. სუხოდოლსკისათვის უნდა დოკუმენტებს დაეკითხოთ და არა თქვენს უღლაჯო ფანტაზიას. დოკუმენტები ლაპარაკობენ, რომ: 10 ივლისს ჩავაბარე 8200 მ., 11 ივლისს—10,800 მან., 27 ივლისს—2000 მან. ყველა ეს მისამატებელი რიცხვებია და ერთი-ერთმანეთისათვის უნდა მიგემატებინათ. თქვენ კი მარტო ორი რიცხვი მიუმატეთ ერთმანეთს (8,200+10,800), ხოლო მესამე 2,000 მ. მათ მიმატების ნაცვლად გამოაკელით, რის საშუალებითაც მიიღეთ 17,000 მანეთი. ამ საქციელს სახელი თქვენ თითონ უწოდეთ. ბ. სუხოდოლსკი თავის მესამე ბარათში სწერს, რომ მან მიიღო ჩემგან 2000 მანეთი. თქვენ კი მეტის-მეტად გინდათ, რომ ეს ფული არა მას ჩემგან, არამედ მე მისგან მიმეღოს. მაგრამ არა გაქვთ რა ამის არავითარი საბუთი, მიმართავთ საძაგელ ხერხს და სცდილობთ თქვენის შეგნებულის თუ შეუგნებელის შეცდომით მთელი საზოგადოებაც მოატყუოთ. სახელდობრ, რათა ჩემგან **მიცემული** ფული ჩემ მიერ **მიღებულად** ჩასთვალოთ, მისამატებელ რიცხვს 2000 მან. აქცევთ გამოსაკლებად, რითაც გინდათ ხალხს მოაჩვენოთ, რომ მე მიმიღია სუხოდოლსკისაგან ფული და არა ბ. სუხოდოლსკის ჩემგან. მაგრამ სირაქლემასავით თავს იმალავთ, ხოლო მთელი ტანი კი გიჩანთ, რადგან მე, რომ მიმეღოს ბ. სუხოდოლსკისაგან ფული, ის კი არ მომცემდა ხელწერილს: **მივიღე ფული 2000 მ. ლუკაშვილისაგანაო**, არამედ მე უნდა მიმეცა სუხოდოლსკისათვის ბარათი, რაშიც იქნებოდა ნათქვამი, რომ მე **მივიღე ფული 2000 მ. სუხოდოლსკისაგანა**.

აი რას ლაპარაკობენ საბუთები, მაგრამ თქვენ მათ ღაღადს ყურს ვერ დაუგდებთ, რადგან ყოველივე მისი ხმა იმედებს გიცრუებთ და ააშკარავებს თქვენს სამარცხვინო გამოსვლას.

მაგრამ ხუთი შემკითხველი არა მარტო ანგარიშებში თვალმაქცობენ. აი კიდევ ერთი ნიმუში მათის მდაბალი თვალთმაქცობისა.

სწერენ: „პირდაპირ სცრუობს ლუკაშვილი, როცა **აცხადებს 12.800 მ. ბარათზე 10.800 მ. მიღება აღნიშნა სუხოდოლსკიმ.***) ასეთი დოკუმენტი თელავის ამხანაგობაში არ არის და ლუკაშვილი მთელ საზოგადოებას, ისიც გაზეთის საშუალებით, ატყუებს".

ასეთი ამბავი არსად მომხდარა. არც თუ ამისთანა რამ სიტყვიერად ან თუ გაზეთის საშუალებით სადმე გამიცხადებია. და აბა ვნახოთ, მე ვატყუებ გაზეთის საშუალებით მთელ საზოგადოებას, თუ ხუთი შემკითხველი.

აი რასა ვსწერდი ამა წლის 6 ენკენისთვის „სახალხო ფურცლის" № 666-ში:

„27 ივლისს მივიღე ხელწერილი ბ-ნ სუხოდოლსკისაგან, ხოლო 12.800 მან. ხელწერილი დავხიეთ და 10,800 მან. მიღება ძველ ბარათზე აღნიშნა (სუხოდოლსკიმ)".

მაშასადამე, მე ვაცხადებდი, რომ 12800 მ. ბარათი დავხიეთ. ხოლო ძველ ბარათად ნაგულისხმევია პირველი ბარათი 10 ივლისის თარიღით 8200 მ. ეს ბარათი მინაწერით ზემოდ მქონდა მოყვანილი და ეხლაც ამხანაგობაში ინახება.

მე ვწერდი 12.800 მან. ხელწერილი დავხიეთ მეთქი მოსკოვში, შარშან, 27 ივლისს, მხოლოდ ხუთნი შემკითხველნი განზრახ ივიწყებენ ჩემ ნათქვამს და ამაოდ დაეძებენ ეხლა, ე. ი. ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ ქ. თელავში ამხანაგობის დოკუმენტებში.

საკვირველია ასეთი თვალთმაქცობა შემკითხველთა და სახიფათო ამათთანა კამათი, რადგან მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობენ.

დ. ლუკაშვილი

(შემდეგი იქნება).

---

*) ხაზი მე გაუსვი. დ. ლ.

ქართველთა ცხოვრებიდან მოსკოვში

ნათქვამია, რომ თუ შენი სამშობლო გინდა შეიყვარო, დროებით უცხოეთში იცხოვრეო. ეს სავსებით მართლდება, თუ თვალს გადავავლებთ მოსკოვში მყოფ ქართველთა ცხოვრებას. ყოველი ქართველი, თუ ის კერას მოსწყვეტია, დედა-საქართველოს ძუძუს, სულითა და გულით მოელის შაბათ საღამოს დადგომას, რათა მისცეს თავს საშუალება დაივიწყოს წუთისოფლიური სიმწვავე და დროებით მიეცეს ნეტარების იმ ტკბილ წუთებს, რომელსაც კაცი, სამშობლოს მოშორებული, უცხო ხალხში მიეცემა ხოლმე მშობლიურ ჰავის სუნთქვით ეს საშუალება ერთხელა გვაქვს ხოლმე ქართველებს კვირაში. ყოველ შაბათობით თავს იყრის თითქმის მთელი მოსკოვის ქართველობა აქ არსებულ „ქართველთა საზოგადოების" დარბაზში. ერთი ასეთი საღამოც 15 ღვინობისთვეს იყო, მხოლოდ უფრო მომხიბლავი, უფრო მიმზიდველი, ვიდრე სხვა საღამოები. ვისაც კი შეძლება ჰქონდა, ყველა მოვიდა ქართველთა დარბაზში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ჩვენში მცხოვანმა მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილისამ გზათ გამოიარა მოსკოვში და ისურვა ამ წმინდა სულიერ დარბაზში მობრძანება. ეს ამბავი სწრაფათ მოედო მოსკოვის ქართველობას და დანიშნულ დროზე ყველანი იქ ვიყავით. განვლო პატარა ხანმა და საქართველოს საამაყოც იქ მობძანდა. აქ მას შეეგებნენ ხსენებული საზოგადოების წარმომადგენელნი და ვიდრე სუფრაზე მიიწვევდნენ, მოკლე და მხურვალე პატივისცემით გამსჭვალული სიტყვებით მიმართეს. პირველი სიტყვა ექიმმა ბ-ნ ზანდუკელმა წარმოსთქვა, შემდეგ ირ. ამირეჯიბმა და მერმე კი ექსპრომტად შედგენილ ლექსით, ი. მჭედლიშვილმა. ტაშის ცემასა და აღფრთოვანებას საზღვარი აღარ ჰქონდა. გაიმართა შემდეგ ჩვეულებრივი ქართული სიმხიარულე. ლეკური, უზუნდარა, სიმღერები, ლექსები. საზოგადოების თხოვნით გალაკტიონ ტაბიძემ, ი. მჭედლიშვილმა, ივ. მოსიძემ და სხვ. თავიანთი მშვენიერი ლექსები, მოთხრობანი წაიკითხეს, რასაც აღფრთოვანებული ტაშის ცემა მოჰყვა. თუმცა ყოველ შაბათობით ასე ხდება ხოლმე, მაგრამ მაინც ვხედავდით ყველანი, რომ ამ შაბათს სულ სხვა ელფერი ედვა. როდი გვახსოვდა ის გაჭირვება, რომელსაც ყოველი ჩვენგანი უცხოეთში განვიცდით ხოლმე. ჩვენი მცხოვანი ეკატერინეს სახეც გვეუბნებოდა თითქოს: იმხიარულეთ, შვილებო, მოიგონეთ თქვენი საყვარელი საქართველო, ტკბილი ქართული ენა და ჩვეულებანი, სახე უცინოდა, უხაროდა, რომ ქართველები ასე ძმურათა და მეგობრულად სცხოვრებდნენ ერთმანეთში. დაბოლოს მოყვარულმა დედამ მოგვმართა მადლობით და გვისურვა არ დაგვიწყნოდა სამშობლო ჩვენი. ბოლო აღარ ჰქონდა აღფრთოვანებას და ტაშის ცემას, რის შემდეგაც ხელი წააწერა საპატიო სტუმართა წიგნში და სიხარულით სავსე გულით დაგვშორდა. ყველას პირზე მარტოკა მისი სახელი ეკერა და ამნაირად სულიერად დაკმაყოფილებულნი და სანეტარო სამშობლოს მოგონებით დავიშალენით.

ჩვენი ფოსტა

თელავში ბ-ნს ქ—ელის. სამწუხაროდ თქვენი წერილი „ზვირთის" უკანასკნელ ნომრის საპასუხოდ არ დაიბეჭდება, რადგან რედაქცია თავის დამცირებად სთვლის „ზვირთს" და მის ხელმძღვანელებს რაიმე ანგარიში გაუწიოს.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 „ 24 „	საღ.

გამოიცა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".

(თ.—225—22)

სამგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილადა, მცირე მარილიანი, შავი „აშტრახანის" ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.